მინიმალური ანგარიშით

გუშინ დონეცკში სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში ადგილობრივმა "შახტიორმა" მიიღო თბილისის "დინამო".

პირველ ტაიმში ორივე გუნდმა ასე თუ ისე, საინტერესო თამაში აჩვენა. საგოლე მომენტები იქმნებოდა, როგორც სტუმართა, ისე მასპინძელთა კართან და თუ ბურთი გატანილ არ იქნა, ეს ორივე მეკარის დამსახურებაა. ტაიმის მიწურულს ურუშაძემ აშკარა გოლისგან იხსნა კარი.

შესვენების შემდეგ მასპინძლები გააფთრებით ეკვეთნენ სტუმრების კარს და ერთ-ერთი ასეთი შეტევა გოლით დააგვირგვინეს. ბურთის ავტორია ორლოვი. დარჩენილ დროში დინამოელებს ჰქონდათ კარის აღების რამდენიმე საშუალება, მაგრამ ასთიანის, მაისურაძის და სხვათა დამამთავრებელი დარტყმები უზუსტო იყო. თამაშის ბოლოს მასპინძლები გააქტიურდნენ, მაგრამ ვერც მათ შეძლეს ანგარიშის გაზრდა. გაიმარჯვეს დონეცკელებმა – 1:0.

თბილისელები ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ: ურუშაძე, პეტრიაშვილი, ჭელიძე, რეხვიაშვილი, ცხოვრებოვი, ილიადი, დათუნაშვილი, მაისურაძე, ასათიანი, იამანიძე, მესხი. ამავე გუნდების დუბლიორთა მატჩში გაიმარჯვეს თბილისელებმა – 4:3.

"ლელო", 21 ივლისი, 1966 წ.